მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება და ბიუროკრატია

2023

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები: 4
შესავალი 6
მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები 7
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი 12
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი 24
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 27
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი 30
იურიდიულ პირებში დასაქმებულები და შრომის ანაზღაურების ხარჯები (მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი) 33
    იურიდიული პირების რაოდენობრივი მაჩვენებლები 33
    იურიდიული პირებში დასაქმებული თანამშრომლები და შრომის ანაზღაურების ხარჯები 35
დასკვნა 41

ძირითადი მიგნებები:

- მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები ყოველწლიურად, საშუალოდ 26%-ით იზრდება. შედეგად, 2022 წელს 64 მუნიციპალიტეტის სუბსიდიის ჯამურმა ხარჯმა მილიარდ ლარს გადააჭარბა (1,049,202,528 ლარი);

- 2022 წელს თბილისის ბიუჯეტიდან სუბსიდიის ხარჯმა შეადგინა 569.1 მილიონი ლარი, რაც 89 მილიონი ლარით აღემატება ყველა სხვა მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის მუხლით ერთად გაწეულ ხარჯს;

- 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, თბილისის სსიპ-ების მიღებული დაფინანსება 50 მილიონი ლარით, ხოლო ა(ა)პი-ების დაფინანსება 30 მილიონი ლარით გაიზარდა. სსიპ-ებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ხარჯები 20%-ით (+2,3 მილიონი ლარი), ხოლო ა(ა)იპ-ების 23%-ით (+8.1 მილიონი) გაიზარდა;

- 2022 წელს თბილისის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 4,894 თანამშრომელი (შტატგარეშეების ჩათვლით), რომელთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 55.1 მილიონი ლარი. 2016 წლის შემდეგ, ქალაქ თბილისის ა(ა)იპ-ების რიცხვი 79-დან 71-მდე შემცირდა, თუმცა დასაქმებულთა რიცხვი 3,684-დან 4,894-მდე გაიზარდა;

- თბილისის ა(ა)იპ-ებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო შრომის ანაზღაურებაა (3,395 ლარი) ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქში“, სადაც დასაქმებული 11 თანამშრომელიდან 9 მენეჯერულ პოზიციაზეა. ასევე, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში (2,990), სადაც ფონდის დირექტორს, ჰყავს 5 მოადგილე და 4 მრჩეველი;

- თბილისის ა(ა)იპ-ებში სახელფასო სისტემა არაერთგვაროვანია. მაგალითად, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს 58 თანამშრომელზე, დაახლოებით იგივე ოდენობის ანაზღაურება გაიცა რაც თბილისის ზოოლოგიური პარკის 143 თანამშრომელზე; მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს 365 თანამშრომელზე დაახლოებით 5-ჯერ მეტი შრომის ანაზღაურება გაიცა, ვიდრე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 353 თანამშრომელზე.

- ბოლო ხუთ წელში, ბათუმის ა(ა)იპ-ების რაოდენობა 16-დან 13-მდე შემცირდა, თუმცა მათი დაფინანსება დაახლოებით 6-ჯერ, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 9%-ით, ხოლო მათი შრომის ანაზღაურების ხარჯები 89%-ით გაიზარდა;

- 2019 წლიდან 2022 წლამდე რუსთავის ა(ა)იპ-ების დაფინასება ბიუჯეტიდან დაახლოებით ორჯერ (22.6 მილიონიდან 40.6 მილიონამდე) გაიზარდა, ხოლო შპს-ეების დაფინანსება დაახლოებით სამჯერ (1.8 მილიონიდან 6.2 მილიონამდე) გაიზარდა. შედეგად, ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ხარჯი 11.1 მილიონიდან 18.6 მილიონამდე, ხოლო შპს-ეების 667.5 ათასიდან 3.6 მილიონამდე გაიზარდა;

- 2022 წელს, 38 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში იყო 447 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მათ შორის, ყველაზე მეტი (71 ა(ა)იპ) იყო თბილისის, ხოლო ყველაზე ცოტა (4 ა(ა)იპ) ხობის მუნიციპალიტეტში.

- 2022 წელს 5 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დაფუძნებულია 7 ახალი ა(ა)იპ, სადაც დასაქმდა 401 თანამშრომელი და შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 2.9 მილიონი ლარი. მათ შორის, ყვარლის მუნიციპალიტეტის 2 ახალ ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 281 თანამშრომელი;

- 34 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს მუნიციპალურ ააიპ-ებში დასაქმებული იყო 33,549 თანამშრომელი. წინა წელთან შედარებით, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 5%-ით გაიზარდა;

- ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, ააიპ-ებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში 10%-ს აჭარბებს. მაგალითად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულია მოსახლეობის 15%, ცაგერი 13%, ყაზბეგი 10%;

- 2022 წელს, 31 მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირებზე (შტატგარეშეების ჩათვლით) გაწეულმა შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 221.5 მილიონი ლარი. წინა წელთან შედარებით, შრომის ანაზღაურების ხარჯი გაიზარდა 28%-ით;

- 2022 წელს, ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ზრდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 6%-დან 89%-მდე მერყეობს. მათ შორის, ყველაზე დიდი ზრდა იყო ყვარლის (+89%), დმანისის (+47%) და ჩხოროწყუს (+45%) მუნიციპალიტეტებში;

- 2022 წელს (13 მუნიციპალიტეტის მაგალითზე) შპს-ეებში დასაქმებულთა რიცხვი 6%-ით, ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები 16%-ით გაიზარდა;

- 64 მუნიციპალიტეტიდან ა(ი)იპ-ების შესახებ საჯარო ინფორმაცია გასცა, მხოლოდ 38 მუნიციპალიტეტმა, ხოლო შპს-ეების შესახებ მხოლოდ 20 მუნიციპალიტეტმა.

შესავალი

ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სერვისის მიწოდება წარმოადგენს, რაც დროის კონკრეტულ მომენტში, საჯარო ფინანსების ეფექტიანად განკარგვის პარალელურად უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ საქმიანობისთვის, მუნიციპალიტეტები აფუძნებენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, და მათზე ახდენენ ფუნქციების დელეგირებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის: კულტურულ და სპორტულ სფეროთა მხარდაჭერა, კომუნალური სერვისების მიწოდება, ტურიზმი და ძეგლთა დაცვა, სკოლამდელი აღზრდა და აშ.

ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებულ იურიდიულ პირებში მიმდინარე პროცესების შესახებ არაერთი კვლევა ჩატარებულა, რომლებიც ბიუროკრატიული აპარატის გამოწვევებზე მიუთითებენ. მაგალითად, როგორც IDFI-ის, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული ანგარიშები აჩვენებდა, რომ მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში სტაბილურად მზარდი იყო დასაქმებულთა რაოდენობა და შესაბამისად, მათი ანაზღაურებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები. ასევე წლების განმავლობაში იზრდებოდა ა(ა)იპ-ების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა, რაც შესაბამისად ზრდიდა მათ როლს თვითმმართველობების საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ განკარგული საბიუჯეტო სახსრების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტების უმრავლესობა საბიუჯეტო დოკუმენტაციაში თუ მის მიღმა, ვერ უზრუნველყოფენ მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ განკარგული ფინანსების გამჭვირვალობას. მაგალითად, მხოლოდ ცალკეული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებშია განცალკევებით წარმოდგენილი მათი იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშები. ასევე, მუნიციპალიტეტები საკუთარ ვებ-გვერდებზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის ბოლო 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა დასახელდა.

მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების გამჭვირვალობის გაზრდისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წელს შექმნილ ელექტრონულ პორტალზე „ბიუჯეტის მონიტორი“ ასეთი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სამწუხაროდ, აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო ამ ინფორმაციის თანმიმდევრული შეგროვება და პორტალზე გამოქვეყნება. 2020 წლის შემდეგ კი, ბიუჯეტის მონიტორის გვერდზე მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება სრულად შეწყდა.

მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის შეზღუდული პროაქტიული ხელმისაწვდომობის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას. თუმცა, კვლევის პროცესი აჩვენებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტები მათი იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ გასცემენ, ან მოწოდებული მონაცემები არასრულყოფილად არის დამუშავებული. მაგალითად, კვლევის ფარგლებში 64 მუნიციპალიტეტიდან IDFI-მ გარკვეული პასუხი მიიღო მხოლოდ 38 მუნიციპალიტეტიდან.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული არასრულყოფილი და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირის გათვალისწინებით, IDFI-ის კვლევის სამიზნედ ასევე შეირჩა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები**.** არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან სუბსიდიის ხარჯების უდიდესი ნაწილი მიემართება მათ დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, ამ მონაცემების ანალიზი, რომლებიც სისტემატიზებულად განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე, გვაძლევს იურიდიული პირების მიერ მიღებული დაფინანსების შესახებ ზოგადი ტენდენციების შეფასების გარკვეულ შესაძლებლობას.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლით აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე/არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები. აგრეთვე, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსთვის რეგულარულად გაცემული სახსრები, რომელიც ხმარდება მათი საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას, აღირიცხება როგორც სუბსიდია. **საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ერთმნიშვნელოვან განმარტებას არ იძლევა სუბსიდიის მუხლით აღსარიცხი თანხების შესახებ.** მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ა(ა)იპ-ების მიმდინარე და საოპერაციო მიზნებისათვის გადასაცემი სახსრები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შესაძლებელია გადანაწილდეს შესაბამის მუხლებში. **აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სუბსიდიის მუხლით აღრიცხული თანხები შესაძლებელია არ იძლეოდეს სრულ სურათს მუნიციპალური იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ.**

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ასახული მონაცემების მიხედვით, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები ყოველწლიურად მნიშვნელოვნად (საშუალოდ 26%-ით) იზრდება. შედეგად, 2022 წელს 64 მუნიციპალიტეტის მიერ ამ მუხლით გაწეულმა ჯამურმა ხარჯმა მილიარდ ლარს გადააჭარბა (**1,049,202,528 ლარი)**. ბოლო ხუთ წელში მუნიციპალიტეტების მიერ სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები დაახლოებით 150%-ით გაიზარდა. მაგალითად, 2018 წელს სუბსიდიის ხარჯი შეადგენდა 420 მილიონ ლარს, 2019 წელს - 489 მლნ. ლარს, 2020 წელს - 601 მლნ. ლარს, 2021 წელს - 781 მლნ. ლარს, ხოლო 2022 წელს - 1.05 მლრდ ლარს. მუნიციპალიტეტების 2023 წლის ბიუჯეტების გეგმებით კვლავ გათვალისწინებულია სუბსიდიის ხარჯების დაახლოებით 100 მილიონი ლარით ზრდა - 1.15 მილიარდ ლარამდე.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია.

2019 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიების მუხლით გაწეული ხარჯების მკვეთრი მატება უმეტესწილად განპირობებულია ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან მსგავსი ხარჯების ზრდით. მაგალითად, 2022 წელს თბილისის ბიუჯეტიდან სუბსიდიის ხარჯმა შეადგინა 569.1 მილიონი ლარი, რაც 89 მილიონი ლარით აღემატება, ყველა სხვა მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის მუხლით ერთად გაწეულ ხარჯს. 2018 წლის შემდეგ, თბილისის ბიუჯეტიდან სუბსიდიის ხარჯები 5,4 ჯერ გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია რომ თბილისის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტების სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების საოპერაციო მიზნებისთვის გადაცემული სახსრები გადანაწილებულია შესაბამის მუხლებში ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა). შესაბამისად, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები არ იძლევა სრულ სურათს იურიდიული პირების მიერ თბილისის ბიუჯეტიდან განკარგული ფინანსების შესახებ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ასახული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს სუბსიდიების მუხლით, თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი თანხა დახარჯეს გორის (27.4 მლნ. ლარი), ზუგდიდის (27.3 მლნ. ლარი), ბათუმის (23.3 მლნ. ლარი) და ბოლნისის (18 მლნ. ლარი) მუნიციპალიტეტებმა. ის ფაქტი, რომ მაგალითად, ბათუმის სუბსიდიის ხარჯს აღემატება გორის და ზუგდიდის სუბსიდიის ხარჯები, ასევე, ათეულში ვერ ხვდება ქუთაისის და რუსთავის მუნიციპალიტეტები, განპირობებულია ბიუჯეტში სუბსიდიის ხარჯების განსხვავებული აღრიცხვიანობით. IDFI-ის მიერ შესწავლილი 64 მუნიციპალიტეტიდან, 10 მუნიციპალიტეტი (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ლანჩხუთი, ჩოხატაური და აჭარის 5-ვე მუნიციპალიტეტი) ა(ა)იპ-ების საოპერაციო მიზნებისთვის გადაცემულ სახსრებს ბიუჯეტში მუხლობრივად აღრიცხავს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შედეგად, მაგალითად ხულოს მუნიციპალიტეტის სუბსიდიის ხარჯში ასახულია მხოლოდ 3.2 ათასი ლარი, რომელიც მიემართება ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის.

დანარჩენი 54 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სუბსიდიის მუხლით აღრიცხული თანხები ფარავს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებზე და შპს-ებზე გაცემულ დაფინანსებას. თუმცა, აღნიშნული თანხა ასევე შეიძლება მოიცავდეს სხვა ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ არის დაფუძნებული მუნიციპალიტეტის მიერ, გაცემულ სუბსიდიას. მაგალითად, 2022 წელს (იანვარი-სექტემბერი) გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ტაძრების ფინანსურ მხარდაჭერის მიზნით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული კულტურისა და სულიერების ცენტრს გამოეყო სუბსიდია - ჯამში 80,002 ლარის

ოდენობით. ასევე, პროექტის ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი და რეკრეაციული გარემო'' სუბსიდირების ღონისძიების თანადაფინანსების მიზნით - 40,254 ლარი დაიხარჯა.



**შენიშვნა: სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები სრულად არ ფარავს მუნიციპალიტეტის იურიდიული პირებისთვის გაცემულ დაფინანსებას.*



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **2022 წლის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მიხედვით, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯების ზრდა ყველა მუნიციპალიტეტში ფიქსირდება**. მათ

შორის, 2022 წელს ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა, 2021 წელთან შედარებით, იკვეთება თეთრიწყაროს (+101%), ქუთაისის (+59%), დუშეთის (+51%), საგარეჯოს (+47) და დმანისის (+47%) მუნიციპალიტეტებში. **სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯების ზრდა 9%-დან 101%-მდე მერყეობს.**



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტების მიერ სუბსიდიების მუხლით გაწეული ხარჯების ბიუჯეტში აღრიცხვის არაერთგვაროვანი პრაქტიკის მიუხედავად, მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მსგავსი ხარჯები მზარდია. ვინაიდან სუბსიდიის ხარჯების განმკარგავებს ძირითად შემთხვევაში წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები, ეს მონაცემები ასეთი ორგანიზაციების დაფინანსების და შესაბამისად, მათი მნიშვნელობის ზრდაზე მიუთითებს თვითმმართველობების საქმიანობაში.

საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახული სუბსიდიის ხარჯები, მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების დაფინანსების სრულ მასშტაბს ვერ ასახავს მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, თვითმმართველი ქალაქები (თბილისი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი), რომელთა შესახებ ანალიზი კვლევაში წარმოდგენილია განცალკევებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

2022 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 48.2%-ს (569.1 მლნ ლარი) სუბსიდიები წარმოადგენდა. სუბსიდიებზე გაწეული ხარჯების დაახლოებით ნახევარი - 257.1 მილიონი ლარი, სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირებაზე მიემართა. სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირება აქტიურად დაიწყო 2020 წლიდან, როდესაც პანდემიის ფარგლებში შეჩერებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების გათვალისწინებით, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით, სუბსიდიის სახით დაფინანსდა 72 მილიონი ლარით. 2021 წელს სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია 155 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო 2022 წელს 257.1 მილიონ ლარამდე. 2022 წელს 257.1 მილიონი ლარი გადანაწილდა მგზავრთა გადამყვან კომპანიებზე, მათ შორის შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია 180.3 მილიონი ლარი, შპს თბილ ლაინი - 33.1 მილიონი ლარი, შპს კაპიტალ გრუპი - 13.8 მილიონი ლარი, შპს თბილ ქარი - 9.3 მილიონი ლარი, შპს ფაბლიქ ქარი - 20.6 მილიონი ლარი. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის პროგრამის განმახორციელებელია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, რომელმაც 2022 წელს საკუთარი შემოსავლებიდან ზემოთ ჩამოთვლილ მგზავრთა გადამყვანი კომპანიები დამატებით დააფინანსა 120.2 მილიონი ლარით.

2021 წლიდან სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდირების პროგრამის დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდის მიზანს წარმოადგენდა სატრანსპორტო სისტემის განვითარება. მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების მიხედვით, 2021 წელს მიღებული შედეგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ მაჩვენებელს. მაგალითად, 2021 წლის ბოლომდე იგეგმებოდა ინტეგრირებულ სისტემაში მთლიანობაში M2 კატეგორიის 1000 ერთეული ავტობუსის ჩართვა, ყოველდღიურად 774 ერთეულის მოძრაობა და 163 მარშრუტზე რეისების შესრულება, ხოლო მიღწეული შედეგების მიხედვით სისტემაში ჩართული იყო M2 კატეგორიის 465 ავტობუსი, ყოველდღიურად საშუალოდ მუშაობდა 351 და რეისები ხორციელდებოდა 79 ხაზზე. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, 2021 წელს დაგეგმილი მაჩვენებლის შესრულება შესაძლებელი გახდა 2022 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2021 წლის ბოლომდე იგეგმება ინტეგრირებულ სისტემაში მთლიანობაში M2 კატეგორიის 1000 ერთეულის ჩართვა, ყოველდღიურად 774 ერთეულის მოძრაობა და 163 მარშრუტზე რეისების შესრულება; M3 კატეგორიის 8 მეტრიანი ავტობუსისთვის 35 ახალი მარშრუტის გაშვება მთლიანად და რეისების შესრულება, სადაც ჩართული იქნება 400 ერთეული, ხოლო 12 და 10 მეტრიანი ავტობუსისთვის 29 მარშრუტის გაშვება, სადაც ჩართული იქნება 460 ერთეული. ***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადამყვანი კომპანიები: M2 კატეგორიის 465 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 351 ერთეული) რეისები ხორციელდება 79 ხაზზე; M3 კატეგორიის 160 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 132 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 16 ხაზზე).	***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის ავტობუსებით (1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 743 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 160 მარშრუტზე) და M3 კატეგორიის ავტობუსებით (860 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 678 ერთეული) რეისები ხორციელდება 111 მარშრუტზე), მინისქემა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები.
2021 წელს დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებელი	**2022 წელს მიღწეული მაჩვენებელი**

2022 წელს თბილისის ბიუჯეტიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯების სიდიდით, რიგით მეორეა სკოლამდელი აღზრდა - 157.5 მილიონი ლარი. სკოლამდელი აღზრდის სუბსიდირების ხარჯი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 58%-ით გაიზარდა. სკოლამდელი აღზრდის პროგრამას ახორციელებს ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს თბილისის ბაგა-ბაღების სუბსიდირებას. თბილისის ბიუჯეტიდან გაწეული სუბსიდიის ხარჯებში ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია დასუფთავების (107.4 მილიონი ლარი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლის (23.9 მილიონი ლარი) ღონისძიებების სუბსიდირებას.



წყარო: ქალაქ თბილისის 2018 და 2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც საქართველოს დედაქალაქის, სტატუსი გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სისტემა, ასევე მათი დაფინანსების სპეციფიკა და ბიუროკრატიის მასშტაბი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა მუნიციპალიტეტებისგან. მაგალითად, თბილისის მერიის სისტემაში დამატებით ვხვდებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ-ებს), რომლებიც წარმოადგენენ ცალკეული საბიუჯეტო პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლებს. სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები ვერ ასახავს სრულყოფილ სურათს მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ. მათ შორის:

- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სსიპ-ებისთვის და ა(ა)იპ-ებისთვის საოპერაციო მიზნებისთვის გადაცემული სახსრები, მუხლობრივად აღირიცხება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შესაბამისად, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები სრულად არ ფარავს მუნიციპალიტეტების იურიდიული პირებისთვის გაცემული დაფინანსების შესახებ მონაცემებს. მაგალითად, თბილისის ბიუჯეტიდან ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთვის გაცემულმა დაფინანსებამ 2022 წელს შეადგინა 159.3 მილიონი ლარი, საიდანაც 157.5 მილიონი ლარი სუბსიდიის სახით გაიცა თბილისის საბავშვო ბაღებზე, ხოლო დანარჩენი 1.7 მილიონი ლარი მოხმარდა სააგენტოს შრომის ანაზღაურებას და სხვა ხარჯებს. შესაბამისად, სუბსიდიის ხარჯებში ასახულია მხოლოდ 157.5 მილიონი ლარის შესახებ ინფორმაცია.
- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის განმახორციელებელი ცალკეული იურიდიული პირები წარმოადგენენ, სუბსიდიის სახით დაფინანსების გამტარს სხვა მუნიციპალური თუ კერძო საწარმოებისთვის. მაგალითად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ 2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინასება მიიღო 292.8 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც სუბსიდიის სახით მუნიციპალურ შპს-ზე და სხვადასხვა კერძო კომპანიებზე გასცა 258.8 მილიონი ლარი, ხოლო დამატებით საკუთარი შემოსავლებიდან სუბსიდიის სახით გასცა 120.2 მილიონი ლარი.

თბილისის ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების მიერ მიღებული დაფინანსების და ბიუროკრატიის სრულყოფილი ანალიზის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა თბილისის საბიუჯეტო დოკუმენტაციაში დანართის სახით წარმოდგენილი სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულად არ ფარავს მუნიციპალური შპს-ეებისთვის გაცემული დაფინანსების შესახებ ინფორმაციას, ასევე დოკუმენტაციაში არ არის ასახული მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემები.
საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით, 2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღო 5-მა სსიპ-მა (306 მილიონი ლარი) და 71-მა ა(ა)იპ-მა (234.5 მილიონი ლარი). 2021 წელთან შედარებით, თბილისის სსიპ-ების მიღებული დაფინანსება 50 მილიონი ლარით, ხოლო ა(ა)იპ-ების დაფინანსება 30 მილიონი ლარით გაიზარდა. სსიპ-ებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ხარჯები წინა წელთან შედარებით 20%-ით (+2,3 მილიონი ლარი), ხოლო ა(ა)იპ-ების 23%-ით (+8.1 მილიონი) გაიზარდა.





წყარო: ქალაქ თბილისის 2021 და 2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

თბილისის სსიპ-ებს შორის ყველაზე დიდი დაფინანსება (292.8 მილიონი ლარი) მიემართება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული თანხის უდიდესი ნაწილით სუბსიდირდება სატრანსპორტო კომპანიები. სააგენტოს საშტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე 2022 წელს დაიხარჯა 3.4 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით, 70%-ით მეტია.

2022 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება პროცენტულად ყველაზე მეტად გაეზარდა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს. დაფინანსების ზრდა განაპირობა უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენის პროგრამის განხორციელებამ, რისთვისაც სააგენტო დაფინანსდა 4.9 მილიონი ლარით და ფიზიკური პირებისაგან შეისყიდეს 56 საცხოვრებელი სახლი.

თბილისის სსიპ-ების დაფინანსება ბიუჯეტიდან და შრომის ანაზღაურების ხარჯები (ათასი ლარი)						
სსიპ-ის დასახელება		**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	-	-	120,842.5	248,616.1	292,805.1
	შრომის ანაზღაურება	-	-	608.1	2,015,0	3,533.1
სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის	ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,075.2	1,001,6	890,2	1,873,.4	6,275,6
		1,392.2	1.557.0	1,599.9	1,820.6	1,961,4

ქონების მართვის სააგენტო	შრომის ანაზღაურება					
სსიპ "ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო"	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,319.5	3,408,3	3,935.9	3,753.6	4,282,7
	შრომის ანაზღაურება	2,135.3	2,146,1	1,908.9	2,115,4	2,350.0
სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური	ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,844.4	1,588,0	1,546.0	1,860.0	2,092,2
	შრომის ანაზღაურება	1.996.7	1,805.1	1,810.8	2,129.2	2,563,3
სსიპ - თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	662.9	962.9	313.3	772.7	991,7
	შრომის ანაზღაურება	147.9	152.9	172.5	205.2	225,7
სსიპ-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი	ბიუჯეტიდან დაფინანსება		-	-	-	0
	შრომის ანაზღაურება		-	-	-	1.017.6

წყარო: ქალაქ თბილისის 2018 - 2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს შორის 2022 წელს ყველაზე დიდი დაფინანსება მიიღო ა(ა)იპ - თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ - 159.3 მილიონი ლარი, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტესწილად მიემართა თბილისის საბავშვო ბაღების სუბსიდირებაზე. სააგენტოს შრომის ანაზღაურებაზე 2022 წელს დაიხარჯა 1.2 მილიონი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 15%-ით აღემატება.

თბილისის ა(ა)იპ-ებს შორის, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების, ასევე შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდის ტემპით, გამორჩეულია ა(ა)იპ-მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო. სააგენტოს დაფინანსებამ ბიუჯეტიდან 2022 წელს შეადგინა 18.2 მილიონი ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 9 მილიონი ლარი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სააგენტოს დაფინანსება და შრომის ანაზღაურების ხარჯები დაახლოებით 120%-ით გაიზარდა. 2021 წელთან შედარებით, სააგენტოს შრომის ანაზღაურების ხარჯები 36%-ით გაიზარდა, რაც თბილისის ა(ა)იპ-ებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2022 წელს ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდის ბიუჯეტმა 36.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული თანხიდან 7.96 მილიონი წარმოადგენდა თბილისის ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას, ხოლო 28 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალურ ტრანსფერს. თბილისის განვითარების ფონდის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2019 წელს იყო - 72 მლნ. ლარი. 2020 წელს, პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, ფონდის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მაჩვენებელი 45.5 მილიონ ლარამდე შემცირდა, თუმცა დანაკლისი გარკვეულწილად დაკომპენსირდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 26.4 მილიონი ლარის სპეციალური

ტრანსფერით. 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებამ მხოლოდ 6.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სპეციალური ტრანსფერით ფონდი დაფინანსდა 44.4 მილიონი ლარით. ბოლო წლებში ფონდის შემოსავლების კლება არ ასახულა მათ შრომის ანაზღაურების ხარჯებზე. მაგალითად, 2022 წელს ფონდის ბიუჯეტი 32%-ით შემცირდა, ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები 15%-ით გაიზარდა.

თბილისის ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე ა(ა)იპ-ები

(ათასი ლარი)

ა(ა)იპ-ის დასახელება		2018	2019	2020	2021	2022
ა(ა)იპ - თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	121,343.8	134,684.0	134,317.5	139,178.1	159,311.0
	შრომის ანაზღაურება	1,018.2	1,065.3	986.5	1,076.8	1,232.7
ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	8,390.8	10,328.7	10,170.2	17,640.3	18,185.6
	შრომის ანაზღაურება	3,983.7	4,618.9	4,642.7	6,651.6	9,034.2
ა(ა)იპ - თბილისის განვითარების ფონდი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	62,365.5	71,981.4	45,533.2	6,770.5	7,962.0
	შრომის ანაზღაურება	1,983.3	2,252.1	2,260.0	2,423.1	2,787.5
ა(ა)იპ - თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია	ბიუჯეტიდან დაფინანსება	4,766.2	4,865.9	4,906.9	5,773.5	6,266.6
	შრომის ანაზღაურება	2,318.6	2,373.3	4,015.7	4,128.8	4,703.8
ა(ა)იპ - თბილისის ზოოლოგიური პარკი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,607.0	3,589.6	3,306.6	4,492.8	5,158.8
	შრომის ანაზღაურება	1,626.1	1,690.3	1,569.2	1,711.6	1,830.5

წყარო: ქალაქ თბილისის 2018 - 2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.

IDFI-მ, ქალაქ თბილისის მერიაში დამატებით გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, რომელიც ითვალისწინებდა 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული თანამშრომლების და მათი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას. თბილისის მერიამ IDFI-ს მიაწოდა მხოლოდ ა(ა)იპ-ების შესახებ 2022 წლის მონაცემები. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს თბილისის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 4,894 თანამშრომელი (შტატგარეშეების ჩათვლით), რომელთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 55.1 მილიონი ლარი. თბილისის ა(ა)იპ-ებს შორის ყველაზე მეტი (365) თანამშრომელი დასაქმებულია მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, რომელთა ანაზღაურებაზე დაიხარჯა 10.3 მილიონი ლარი. თბილისის ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები აჩვენებს, რომ თბილისში სახელფასო სისტემა არაერთგვაროვანია. მაგალითად, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს 365 თანამშრომელზე დაახლოებით 5-ჯერ მეტი შრომის ანაზღაურება გაიცა, ვიდრე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 353 თანამშრომელზე. თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის 165 თანამშრომელზე დაახლოებით ორჯერ მეტი ანაზღაურება გაიცა, ვიდრე

სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ზუსტად იგივე ოდენობის თანამშრომლებზე. საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს 58 თანამშრომელზე, დაახლოებით იგივე ოდენობის ანაზღაურება გაიცა რაც თბილისის ზოოლოგიური პარკის 143 თანამშრომელზე.

შრომის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ა(ა)იპ-ები თბილისში			
ა(ა)იპ-ის დასახელება	**საქმიანობის სფერო**	**დასაქმებულთა რაოდენობა (შტატგარეშეთა ჩათვლით)**	**დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (შტატგარეშეთა ჩათვლით) 2022**
მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო	მუნიციპალური სამსახურების საქმისწარმოების გაუმჯობესება და მოსახლეობასთან კომუნიკაციის მოქნილი ფორმების დანერგვა	365	10,268,400.0
თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია	საინჟინრო ნაგებობების და ქსელების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა	165	4,351,380.0
ეროვნული სკრინინგ-ცენტრი	მოქალაქეთა პროფილაქტიკურ-დიაგნოსტიკური მკურნალობა	92	3,693,500.0
საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	ბოტანიკური დაწესებულება	214	3,180,310.0
თბილისის განვითარების ფონდი	თბილისში რეაბილიტირებული არეალების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სწორი მოვლა-პატრონობის და განვითარების ხელშეწყობა.	86	3,086,212.0
სოციალური მზრუნველობის სააგენტო	ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.	165	2,879,160.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება	სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.	328	2,707,728.0
მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო და შემოქმედებითი სერვისების შექმნის უზრუნველყოფა.	353	2,227,000.0
თბილისის გლდანი-	სხვადასხვა სპორტული აქტივობისა	269	2,137,475.0

ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი	და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.		
თბილისის ზოოლოგიური პარკი	დედაქალაქის ზოოპარკი	143	1,795,607.0
საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო	მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთიანი სტანდარტის შექმნა და გაუმჯობესება; მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლების მხარდაჭერა.	58	1,675,788.0
თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და პედაგოგებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა, კვების სტანდარტების დაცვა, ინკლუზიური განათლების დანერგვა.	57	1,378,740.0
თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	ახალგაზრდობის აღზრდისა და დამატებითი განათლების მულტიფუნქციური დაწესებულება.	203.5	1,277,320.0
მუზეუმების გაერთიანება	თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანება.	83	870,870.0
თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი	მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში და მათი თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.	61	716,040.0

წყარო: თბილისის მერიიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

შენიშვნა: ცალკეული ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, თანხვედრაში არ არის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახულ მონაცემებთან.

ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა და მათი შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, თბილისის ა(ა)იპ-ებში საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება 150 ლარიდან 3,400 ლარამდე მერყეობს. ყველაზე დაბალი ხელფასები გათვალისწინებულია ხელოვნების სკოლებში, სადაც შრომის ანაზღაურება უმეტესწილად საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გაიცემა. მაგალითად, ააიპ N23 ხელოვნების სკოლის საშტატო ნუსხის მიხედვით, დირექტორის ანაზღაურება ყოველთვიურად შეადგენს 350 ლარს, ხოლო მასწავლებლების ანაზღაურება 14 ლარიდან 500 ლარამდე მერყეობს. მათი სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრება მოსწავლეების რაოდენობის პროპორციულად.

თბილისის ააიპ-ებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურება (3,395 ლარი), გათვალისწინებულია ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ თანამშრომლებისთვის. ამ ორგანიზაციაში სულ დასაქმებულია 11 თანამშრომელი, საიდანაც 9 არის მენეჯერულ პოზიციაზე (დირექტორი, მისი მოადგილე, 3 პროექტის კოორდინატორი, მარკეტინგის მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი), რომელთა ანაზღაურება 3,000 ლარიდან 4,800 ლარამდე მერყეობს.

თბილისის მერიიდან მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ააიპ ეროვნული სკრინინგ ცენტრში დასაქმებული თანამშრომლების (92) და შრომის ანაზღაურების ხარჯების (3.69 მილიონი ლარი) გათვალისწინებით, ამ ორგანიზაციაში საშუალო ანაზღაურება შეადგენს 3,345 ლარს. თუმცა, ამავე ორგანიზაციის საშტატო ნუსხის მიხედვით ცენტრში დასაქმებულია 72 ადმინისტრაციული და 51 მედპერსონალი. საშტატო ნუსხის მიხედვით, ადმინისტრაციული პერსონალის საშუალო ანაზღაურება შეადგენს 1,153 ლარს, ხოლო მედპერსონალის შემთხვევაში მითითებულია რომ მათი ანაზღაურება დამოკიდებულია თითოეულ კვლევაზე შესაბამისი განაკვეთის მიხედვით. IDFI-თვის უცნობია, ცენტრის მიღებული საშუალო ანაზღაურება განპირობებულია მედპერსონალის მაღალი შემოსავლებით, თუ მერიის მიერ წარმოდგენილია ფაქტობრივად არაზუსტი მონაცემებით.

მაღალი საშუალო ანაზღაურებით (2,990) ასევე, გამორჩეულია ააიპ თბილისის განვითარების ფონდი. ფონდის მაღალი საშუალო ანაზღაურება უმეტესწილად განპირობებულია მაღალანაზღაურებადი პოზიციების სიუხვით. მაგალითად, ფონდის დირექტორს, რომლის ანაზღაურება შეადგენს 6 ათას ლარს, ჰყავს 5 მოადგილე (თითოეულის ანაზღაურება 5,000 ლარი) და 4 მრჩეველი (თითოეულის ანაზღაურება 3,500 ლარი).

2018 წლიდან, თბილისის მერიაში შეიქმნა ააიპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო, რომლის მიზანია თბილისის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული უწყებების საკომუნიკაციო სისტემების შექმნა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება, საკომუნიკაციო პროექტების განხორციელება და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. ამ ორგანიზაციის თანამშრომელთა საშუალო ანაზღაურება შეადგენს 2,408 ლარს. მერიის მოწოდებული ინფორმაციით, სააგენტოში მუშაობს 58 თანამშრომელი. საშტატო ნუსხის მიხედვით, გათვალისწინებულია 18 პოზიცია, შესაბამისად, დანარჩენი 40 შტატგარეშე მოსამსახურეა.

საშუალო ანაზღაურების სიდიდით, ასევე გამორჩეულია მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო, სადაც დასაქმებულია 365 თანამშრომელი, ხოლო მათი საშუალო ანაზღაურებაა 2,344 ლარია. სააგენტოში არსებული ბიუროკრატიის ზომის გათვალისწინებით, მაღალი საშუალო ანაზღაურება უმეტესწილად განპირობებულია მაღალანაზღაურებადი პროფესიების მქონე პერსონალის სიუხვით. მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტში დასაქმებულია 28 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურება 3,900 ლარიდან 12,900 ლარამდე მერყეობს, სისტემური ანალიზის დეპარტამენტში 26 თანამშრომელი (ხელფასი 1,500 ლარიდან - 10,300 ლარამდე), სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტში - 11 თანამშრომელი (ხელფასი 4,000 -დან 6,000-მდე).

ზემოთ განხილული ააიპ-ების გარდა, საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება 2 ათას ლარს ასევე აჭარბებს ააიპ მუნიციპალურ ლაბორატორიაში (საშუალო ანაზღაურება 2,197 ლარი) და თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოში (2,015 ლარი).

					დანართი
	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო ერთ საშტატო ერთეულზე (1 თვე)	თანამდებობრივი სარგო სულ (1 თვე)	
1	დირექტორი	1	4800	4800	
2	დირექტორის მოადგილე	1	4500	4500	
3	პროექტის კოორდინატორი	3	4000	12000	
4	მარკეტინგის მენეჯერი	1	3800	3800	
5	მარკეტინგის კოორდინატორი	1	1250	1250	
6	საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	1	3500	3500	
7	ფინანსური მენეჯერი	1	3000	3000	
8	შესყიდვების მენეჯერი	1	3000	3000	
9	შემფასებელი	1	1500	1500	
	სულ	**11**	**29350**	37350	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის N23 ხელოვნების სკოლის" (ს/კ 206070794)
საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

№	დასახელება	განყოფილება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო(ლარებში)
1	დირექტორი		1	350.00
2	ბუღალტერი		1	300.00
3	საქმეთა მმართველი /მასწ		1	100.00
4	მწე		1	100.00
5	დამლაგებელი		1	100.00
6	ბიბლიოთეკარი		1	50.00
7	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	194.00
8	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	497.00
9	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	313.00
10	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	208.00
11	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	100.00
12	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	100.00
13	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	81.00
14	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	27.00
15	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	20.00
16	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	14.00
17	მასწავლებელი	საფორტეპიანო	1	167.00
18	მასწავლებელი	ფეიერეული	1	152.00
19	მასწავლებელი	კონცერტმაისტერი	1	27.00
			19	**2900.00**

შენიშვნა: თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრის მოსწავლეების რაოდენობის პროპორციულად

ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" საშტატო ნუსხა	ააიპ N23 ხელოვნების სკოლის საშტატო ნუსხა

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები 2021 წელი

	თანამდებობის დასახელება		**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო**	**თანამდებობრივი სარგო თვეში**
	დირექტორი	**საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი**	**1**	**6,000**	**6,000**
	მრჩეველი		**4**	**3,500**	**14,000**
	დირექტორის მოადგილე	**საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილე**	**5**	**5,000**	**25,000**

ამონარიდი თბილისის განვითარების ფონდის საშტატო ნუსხიდან



შენიშვნა: საშუალო ანაზღაურება გამოთვლილია ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა და მათ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ, თბილისის მერიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.

ქალაქ თბილისის მერიის მიერ, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა სრული რაოდენობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ 2022 წლის მდგომარეობით. ამასთან, განვლილ წლებში იდენტური შინაარსის მოთხოვნებზე მიღებული პასუხები, არაერთგვაროვნად არის მოწოდებული, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი მონაცემების ურთიერთშედარებას. მაგალითად, 2021 წელს მოწოდებულია არასრულყოფილი საშტატო ნუსხები, 2020 წელს ყველა ა(ა)იპ-ის მხოლოდ საშტატო რიცხოვნობები (შტატგარეშეების გარეშე) და აშ. 2022 წლის შესატყვისი უახლესი მონაცემები IDFI-სთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ 2016 წლის მდგომარეობით. ამ მონაცემების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ 2016 წლის შემდეგ, ქალაქ თბილისის ა(ა)იპ-ების რიცხვი 79-დან 71-მდე შემცირდა, თუმცა დასაქმებულთა რიცხვი 3,684-დან 4,894-მდე გაიზარდა. თბილისის ა(ა)იპ-ების რაოდენობის კლება, უმეტესწილად განაპირობა სხვადასხვა თემატურად მსგავსი ორგანიზაციების, ერთი გაერთიანების ქვეშ ფორმირებამ. მაგალითად, შეიქმნა ააიპ - მუზეუმების გაერთიანება და ააიპ ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება. აღნიშნული გაერთიანებებით, ხელოვნურად შემცირდა ა(ა)იპ-ების რიცხვი, თუმცა ბიუროკრატიული აპარატის ოპტიმიზაცია არ მომხდარა. ამასთან, 2016 წლის შემდეგ თბილისში დაფუძნდა ახალი ა(ა)იპ-ები, რომლებიც თანამშრომელთა მაღლი რიცხოვნობით გამოირჩევიან. მაგალითად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში დასაქმებულია 328 თანამშრომელი, სოციალური მზრუნველობის სააგენტოში 165 თანამშრომელი, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოში - 58 თანამშრომელი. ამასთან, მთელ რიგ ა(ა)იპებში 2016 წლის შემდეგ დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოში 2016 წლის

მდგომარეობით დასაქმებული იყო 65 თანამშრომელი, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 365 თანამშრომელი, ა(ა)იპ-გლდანი ნაძალადევის კომპლექსურ სპორტულ ცენტრში 2016 წელს დასაქმებული იყო 108 თანამშრომელი, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 269 თანამშრომელი.



წყარო: ქალაქ თბილისის მერიიდან შესაბამის პერიოდებში მიღებული საჯარო ინფორმაცია.



წყარო: ქალაქ თბილისის მერიიდან შესაბამის პერიოდებში მიღებული საჯარო ინფორმაცია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ა(ა)იპ-ების მიმდინარე და საოპერაციო მიზნებისათვის გადასაცემი სახსრები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით გადანაწილებულია შესაბამის მუხლებში. შესაბამისად, სუბსიდიის მუხლი არ ფარავს მათთვის გაცემული დაფინანსების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღნიშნული მუხლიდან გაწეული ხარჯები უმეტესწილად მიემართება მუნიციპალური შპს-ეების და მათი სერვისების სუბსიდირებაზე. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია 10 კომპანია, საიდანაც 6 წარმოადგენს სპორტულ კლუბს.

2022 წელს სუბსიდიის მუხლით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 23.3 მილიონი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 48%-იანი ზრდაა. აღნიშნული ზრდა უმეტესწილად განაპირობა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ სუბსიდირებამ.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია.

ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, თბილისის მსგავსად, წარმოდგენილია მათ მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია. 2022 წლის შემთხვევაში, დღეის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია მხოლოდ 9 თვის შესრულების ანგარიში. ამასთან, ბათუმის მერიამ IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალური ა(ა)იპ-ებისთვის და შპს-ებისთვის გაცემულ დაფინანსებას, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობას და შრომის ანაზღაურების ხარჯებს, წარმოადგინა მხოლოდ მოქმედი იურიდიული პირების და მათი ხელმძღვანელი პირების სახელების ჩამონათვალი. შესაბამისად, ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილია ბათუმის

ბიუჯეტის ანგარიშებში ასახული მონაცემების ანალიზი, რომელიც ფარავს მხოლოდ ა(ა)იპ-ებს და 2022 და 2023 წლების შემთხვევაში მოიცავს დაზუსტებულ გეგმურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის ანგარიშების მიხედვით, 2018 წლის შემდეგ მუნიციპალური ა(ა)იპ-ების რაოდენობა 16-დან 13-მდე შემცირდა, თუმცა მათი დაფინანსება დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 9%-ით, ხოლო მათი შრომის ანაზღაურების ხარჯები 89%-ით გაიზარდა. 2023 წლის გეგმით, ა(ა)იპ-ებისთვის გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 186.5 მილიონი ლარის დაფინანსების გაცემა, ხოლო 2,495 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებულია 32.5 მილიონი ლარი.



წყარო: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 - 2023 წლების საბიუჯეტო დოკუმენტაცია.

ბოლო წლებში ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ა(ა)იპ-ებისთვის გამოყოფილი თანხების მკვეთრი ზრდა, უმეტესწილად განპირობებულია ახალი ა(ა)იპ-ების შექმნით, რომლებმაც შეითავსეს ბათუმის მერიის მნიშვნელოვანი საქალაქო სამსახურების ფუნქცია მოვალეობები. მაგალითად, 2018 წელს შეიქმნა ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო, რომელიც შემდგომ წლებში გახდა ქალაქ ბათუმის ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი განმახორციელებელი. 2023 წლის ბიუჯეტის გეგმით აღნიშნული ა(ა)იპ-ის დაფინანსება შეადგენს 124.2 მილიონ ლარს. ასევე, 2020 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ-ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია, სადაც დასაქმებულია 110 თანამშრომელი, ხოლო მისი დაფინანსება შეადგენს 5.5 მილიონ ლარს.

სხვა ა(ა)იპ-ების უმრავლესობის შემთხვევაშიც, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ასევე აისახა მათ შრომის ანაზღაურების ხარჯებზე. მაგალითად, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების

განვითარების სააგენტოს დაფინანსება 2018 წელს შეადგენდა 1.7 მილიონ ლარს. მომუშავეთა რიცხოვნობა იყო 113, ხოლო მათ შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 1.2 მილიონი ლარი. 2023 წლის ბიუჯეტის გეგმით, მისი დაფინანსება გაზრდილია 6 მილიონ ლარამდე, მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირებულია 98-მდე, ხოლო შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებულია 2.4 მილიონი ლარი.

ბათუმის მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებს შორის იშვიათ გამონაკლის წარმოადგენს ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსება აღარ არის გათვალისწინებული. კერძოდ, 2023 წელს ბოტანიკური ბაღი საკუთარი საქმიანობით გეგმავს 5.9 მილიონი ლარის მიღებას, რაც სავარაუდოდ ვიზიტორთა რაოდენობის და ვიზიტის საფასურის ზრდას უკავშირდება.

ბათუმის ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე ა(ა)იპ-ები

(ათასი ლარი)

ა(ა)იპ-ის დასახელება		**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022 (გეგმა)**	**2023 (გეგმა)**
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	10,015.0	47 378.4	43,207.6	64,120.2	117,456.2	124,176.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	-	80	74	60	60	60
	შრომის ანაზღაურება	817.9	1 302.5	1,176.1	1,078.2	1,155.6	1,620.7
ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ბიუჯეტიდან დაფინანსება	12,863.9	14,518.8	12,496.1	14,175.1	18,561.3	25,222.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,312	1,338	1,338	1,375	1,375	1,482
	შრომის ანაზღაურება	7,583.7	8,755.1	9,010.8	9,573.9	11,452.0	15,331.3
ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,384.0	3,833.6	5,081.3	5 534,0	6,545.1	7 906,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	103	111	111	111	111	111
	შრომის ანაზღაურება	796.8	948.1	894.8	899,4	1,112.5	1 438,0
ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	2316.6	3 692.7	2,853.4	3 523,1	3,782.6	6 376,5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	287	289	289	286	286	286
	შრომის ანაზღაურება	1930.2	2140.3	2,182.8	2 163,5	2,430.6	3 308,4
ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,667.3	2,689.4	3,084.4	4,096,1	5,774.9	6,017.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	113	113	98	98	98	98
	შრომის ანაზღაურება	1,222.9	1,925.5	1,483.3	1,618,7	1,860.0	2,359.1

წყარო: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 - 2023 წლების საბიუჯეტო დოკუმენტაცია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით, 2019 წლამდე ა(ა)იპ-ებისთვის გაცემული დაფინანსება აღირიცხებოდა სუბსიდიის მუხლში, ხოლო 2019 წლიდან მსგავსი ხარჯები ნაწილდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შესაბამისად, 2019 წლიდან, რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სუბსიდიის მუხლი, თბილისის და ბათუმის მსგავსად, მიემართება მხოლოდ მუნიციპალური შპს-ეების და მათი სერვისების დაფინანსებაზე.

	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი							
დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
შემოსავლები	**38,695.1**	**37,763.8**	**44,103.8**	**56,875.1**	**55,072.9**	**62,857.1**	**83,936.3**	**79,727.5**
გადასახადები	14,451.4	14,077.0	14,708.8	34,789.5	34,936.4	45,148.5	56,501.2	60,246.4
გრანტები	19,373.6	17,758.7	23,605.5	13,997.7	16,082.8	10,439.8	18,834.3	11,132.2
სხვა შემოსავლები	4,870.1	5,928.1	5,789.6	8,087.9	4,053.7	7,268.8	8,600.8	8,348.9
ხარჯები	**32,138.7**	**30,181.1**	**30,459.1**	**36,491.1**	**36,811.3**	**48,113.6**	**69,121.3**	**84,650.9**
შრომის ანაზღაურება	4,134.1	3,540.0	3,653.6	13,743.8	15,538.7	17,113.8	22,325.0	25,306.3
საქონელი და მომსახურება	2,763.3	3,060.6	3,048.3	11,670.8	10,759.3	13,689.1	18,689.3	23,243.1
პროცენტი	377.6	294.5	307.4	162.4	105.0	1,194.2	2,402.4	2,235.4
სუბსიდიები	17,303.5	17,854.9	18,488.9	2,256.6	2,701.1	4,981.6	6,961.7	6,600.3
გრანტები	495.2	3.3	3.7	3.8	8.3	5.0	4.3	6.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,052.4	2,541.9	2,930.1	3,509.8	3,485.6	4,336.0	5,615.4	6,538.9
სხვა ხარჯები	4,012.7	2,885.8	2,027.1	5,144.0	4,213.2	6,793.9	13,123.2	20,721.0

2019 წელს რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღრიცხვის მეთოდოლოგიური ცვლილებების გავლენა, სუბსიდიის მუხლით გაწეულ ხარჯებზე.

რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, 2019 წლიდან წარმოდგენილია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი იურიდიული პირების ფინანსური მონაცემები. აღნიშნული დოკუმენტაცია, ა(ა)იპ-ებთან ერთად, მოიცავს შპს-ეების შესახებ მონაცემებს. თუმცა, საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იურიდიული პირების მონაცემები არასრულყოფილია. მაგალითად, 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში 16 იურიდიული პირიდან, 6-ის შემთხვევაში არ არის მითითებული ორგანიზაციაში მომუშავეთა რიცხოვნობა. IDFI-მ, სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, რუსთავის მერიიდანაც დამატებით გამოითხოვა იურიდიული პირების დასაქმებულთა რაოდენობის და მათი დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული მონაცემების და მერიიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია სხვადასხვა იურიდიული პირის მიმართებით არაერთგვაროვნად არის დამუშავებული ან/და მოწოდებულია ფაქტობრივი უზუსტობებით. მაგალითად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს დაფინანსება გაიცა 16 (14 ა(ა)იპ და 2 შპს) იურიდიულ პირზე, ხოლო რუსთავის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფარავს 14 იურიდიულ პირს. კერძოდ, ასახული არ არის ა(ა)იპ - რაგბის კლუბი რუსთავის ხარები და ა(ა)იპ - ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს მონაცემები. ასევე, წარმოდგენილი 14 იურიდიული პირიდან, ყოველგვარი განმარტების გარეშე, 7-ის შემთხვევაში წარმოდგენილია გეგმური მაჩვენებელი, 6-ის შემთხვევაში ფაქტობრივი მონაცემი, ხოლო შპს „რუსთავის

მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“-ს მონაცემები საერთოდ არ არის თანხვედრაში საბიუჯეტო მონაცემებთან. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“-ს დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენდა 4.8 მილიონ ლარს, ხოლო მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით 1.4 მილიონ ლარს. საბიუჯეტო დოკუმენტაციის მიხედვით, ამ საწარმოს შრომის ანაზღაურების ხარჯი შეადგენდა 3.1 მილიონ ლარს (მათ შორის საბიუჯეტო დაფინანსებიდან 1.6 მილიონი ლარი), ხოლო მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით მხოლოდ 246.9 ათას ლარს.

შპს - რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო

შენიშვნა: არსებული თავისუფალი ნაშთი		0,00			226 320,28	
დასახელება	წლის გეგმა	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიც. ბიუჯეტი	წლის ფაქტი	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. მუნიც. ბიუჯეტი
შემოსულობები	7 847 816,00	3 020 977,00	4 826 839,00	8 024 381,30	3 215 223,27	4 809 158,03
შემოსულობები	7 847 816,00	3 020 977,00	4 826 839,00	8 024 381,30	3 215 223,27	4 809 158,03
შემოსავლები	7 847 816,00	3 020 977,00	4 826 839,00	8 024 381,30	3 215 223,27	4 809 158,03
სხვა შემოსავლები	7 847 816,00	3 020 977,00	4 826 839,00	8 024 381,30	3 215 223,27	4 809 158,03
გადასახდელები	8 013 341,00	3 186 502,00	4 826 839,00	7 963 586,02	3 154 427,99	4 809 158,03
ხარჯები	7 874 661,00	3 152 722,00	4 721 939,00	7 831 903,32	3 120 894,98	4 711 008,34
შრომის ანაზღაურება	3 095 581,00	1 505 900,00	1 589 681,00	3 092 939,30	1 503 258,30	1 589 681,00
საქონელი და მომსახურება	4 702 280,00	1 570 022,00	3 132 258,00	4 677 176,87	1 555 849,53	3 121 327,34

N	სსიპ, ა(ა)იპ და შპს დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება 2022	შტატიან მოსამსახურეთა რაოდენობა 2022	შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა 2022	შტატიანი თანამშრომლების თანამდებობრივი სარგო 2022	შტატგარეშეთა თანამდებობრივი სარგო 2022
13	შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო“	1437181	247	1	246900	1700

საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ასახულ და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გზით მიღებული ინფორმაციას შორის არსებული განსხვავებები.

რუსთავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტაციის მიხედვით, იურიდიული პირების დაფინანსება ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. შედეგად, 2019 წლიდან 2022 წლამდე ა(ა)იპ-ების დაფინანსება ბიუჯეტიდან დაახლოებით ორჯერ, 22.6 მილიონიდან 40.6 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო შპს-ეების დაფინანსება დაახლოებით სამჯერ, 1.8 მილიონიდან 6.2 მილიონამდე გაიზარდა. დაფინანსების ზრდის პარალელურად იზრდება, შრომის ანაზღაურების ხარჯები, მაგალითად ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ხარჯი 11.1 მილიონიდან 18.6 მილიონამდე, ხოლო შპს-ეების 667.5 ათასიდან 3.6 მილიონამდე გაიზარდა.





რუსთავის მუნიციპალიტეტიდან ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე იურიდიული პირები

(ათასი ლარი)

ა(ა)იპ/შპს-ს დასახელება		**2019**	**2020**	**2021**	**2022**
ა(ა)იპ - ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	ბიუჯეტიდან დაფინანსება	6,934.5	7,311.3	8,723.5	12,438.3
	შრომის ანაზღაურება	4,388.8	5,605.2	6,434.8	8,442.9
ა(ა)იპ - რუსთავ სერვის ცენტრი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	6,917.8	7,575.6	11,509.2	11,218.8
	შრომის ანაზღაურება	1,742.7	1,916.5	2,138.9	2,883.0
ააიპ - რუსთავის კორპუსი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	2,303.3	2,598.2	4,165.4	7,263.9
	შრომის ანაზღაურება	278.4	328.0	367.5	652.9
შპს - რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო	ბიუჯეტიდან დაფინანსება	975.0	1,096.0	3,091.0	4,809.2
	შრომის ანაზღაურება	468.2	681.8	1,945.3	3,092.9
ა(ა)იპ "ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი"	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,387.5	3,192.7	3,504.7	4,675.1
	შრომის ანაზღაურება	1,817.7	1,531.5	1,491.4	1,907.2

წყარო: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების საბიუჯეტო დოკუმენტაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ ფარავს იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ მონაცემებს. მერიიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს რუსთავის 12 ა(ა)იპ-ში დასაქმებული იყო 2,752 თანამშრომელი, საიდანაც 1,843 იყო საშტატო, ხოლო 909 შტატგარეშე თანამშრომელი. რუსთავის ორ შპს-ში დასაქმებული იყო 301 თანამშრომელი. წინა წელთან შედარებით რუსთავის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რიცხვი 6%-ით (+149 თანამშრომელი),

ხოლო შპს-ებში დასაქმებულთა რიცხვი 3%-ით (+9 თანამშრომელი) გაიზარდა. 2022 წელს ყველაზე დიდი ზრდა ა(ა)იპ რუსთავსერვის ცენტრში დაფიქსირდა, სადაც თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 659-დან 746-მდე (+13%) გაიზარდა. მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა 394-დან 471-მდე (+20%) გაიზარდა.



წყარო: ქალაქ რუსთავის მერიიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მონაცემების მიხედვით, 2019 წლამდე ა(ა)იპ-ებისთვის გაცემული დაფინანსება აღირიცხებოდა სუბსიდიის მუხლში, ხოლო 2019 წლიდან მსგავსი ხარჯები ნაწილდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. შედეგად, სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები 2019 წელს 29.7 მილიონიდან 2.5 მილიონამდე შემცირდა. 2022 წლის მდგომარეობით სუბსიდიის ხარჯმა 9.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ძირითადად მიემართება მუნიციპალიტეტის შპს-ეების სუბსიდირებაზე.

	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი							
დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
შემოსავლები	**59,747.3**	**55,470.2**	**58,912.1**	**65,125.5**	**65,273.9**	**75,073.0**	**112,184.1**	**103,813.1**
გადასახადები	17,175.5	18,727.9	12,771.9	44,589.0	41,370.6	52,592.9	60,638.3	65,440.8
გრანტები	34,371.4	28,420.8	37,414.9	11,255.9	18,075.2	14,040.5	40,086.6	23,599.0
სხვა შემოსავლები	8,200.4	8,321.4	8,725.3	9,280.6	5,828.1	8,439.5	11,459.1	14,773.3
ხარჯები	**51,078.4**	**47,769.9**	**46,421.1**	**51,998.5**	**48,495.9**	**60,864.0**	**79,063.2**	**91,272.0**
შრომის ანაზღაურება	4,462.9	3,960.9	4,442.0	24,362.1	24,579.0	26,961.2	33,470.8	39,129.3
საქონელი და მომსახურება	7,879.8	8,904.0	5,322.8	15,908.8	13,665.6	16,185.7	19,031.6	21,464.2
პროცენტი	1.2	619.0	484.1	407.0	381.6	1,520.0	2,755.7	2,743.8
სუბსიდიები	26,581.7	26,443.5	29,693.5	2,483.8	2,673.7	5,710.8	9,103.6	8,076.5

სამწუხაროდ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ IDFI-ის მოთხოვნა, მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების დაფინანსების, დასაქმებულთა რაოდენობის და მათი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ, უპასუხოდ დატოვა. ასევე, მუნიციპალიტეტი საკუთარ ვებ-გვერდზე არ უზრუნველყოფს საბიუჯეტო დოკუმენტაციის და მისი დანართების თანმიმდევრულ ხელმისაწვდომობას. იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ დამტკიცებული ბიუჯეტების დანართის სახით, სადაც ასახულია მხოლოდ გეგმური მაჩვენებლები. აღნიშნული დოკუმენტების გათვალისწინებით, 2022 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული იყო 12 ა(ა)იპ-ის და 4 შპს-ს დაფინანსება. კერძოდ, 2022 წლის ბიუჯეტის გეგმით, ქუთაისის იურიდიული პირების დაფინანსება შეადგენდა 44 მილიონ ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9 მილიონი ლარით აღემატება. ასევე, 2022 წლის ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული იყო შრომის ანაზღაურების ხარჯების დაახლოებით 5.1 მილიონით ზრდა.

აღნიშნული დოკუმენტაცია ითვალისწინებს ასევე, მომუშავეთა რიცხოვნობის გეგმური მაჩვენებლებს, თუმცა სხვადასხვა წელს ცალკეული იურიდიული პირის მონაცემი არ არის ასახული. შესაბამისად, ჯამური მონაცემების შედარება ვერ ქმნის რეალურ სურათს. მაგალითად, ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობის გრაფაში 2021 წელს მითითებული იყო 230, ხოლო 2022 წელს ეს გრაფა ცარიელია. 2022 წელს ასახულია 14 იურიდიული პირის მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემი, რომლის მიხედვით დასაქმებული იყო 3,082 პირი.



ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე იურიდიული პირები (ათასი ლარი)			
ა(ა)იპ/შპს-ს დასახელება		**2021 (გეგმა)**	**2022 (გეგმა)**
ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანება	ბიუჯეტიდან დაფინანსება	12,080.0	14,250.0
	შრომის ანაზღაურება	8,750.0	10,500.0
ა(ა)იპ სპეციალური სერვისები	ბიუჯეტიდან დაფინანსება	5,579.7	6,879.1
	შრომის ანაზღაურება	3,758.0	4,710.0
ა(ა)იპ კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება	ბიუჯეტიდან დაფინანსება	4,410.0	5,538.6
	შრომის ანაზღაურება	3,535.0	4,505.0
ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება	ბიუჯეტიდან დაფინანსება	4,100.0	4,920.0
	შრომის ანაზღაურება	2,520.0	3,200.0
ა(ა)იპ ქუთგანათების სერვისი	ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,020.2	3,850.0
	შრომის ანაზღაურება	470.0	650.0

წყარო: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საბიუჯეტო დოკუმენტაცია.

იურიდიულ პირებში დასაქმებულები და შრომის ანაზღაურების ხარჯები (მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი)

2022 წლის მარტში IDFI-მ ყველა (64) მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა 2021-2022 წლებში მათ მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში და შპს-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის და შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების (საშტატო და შტატგარეშე ცალ-ცალკე) შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. იურიდიული პირების შესახებ გარკვეული ინფორმაცია IDFI-ს მიაწოდა მხოლოდ 38-მა მუნიციპალიტეტის მერიამ. თუმცა, მიღებული პასუხები თანაბრად არ ფარავს ყველა საკითხს და ორივე (2021,2022) წელს. შესაბამისად, IDFI-ს, სხვადასხვა საკითხების მიხედვით, განსხვავებული რაოდენობის მუნიციპალიტეტის შესწავლის შესაძლებლობა ჰქონდა. მაგალითად, 2022 წელს მოქმედი ა(ი)პ-ების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 38 მუნიციპალიტეტის, ხოლო შპს-ეების შესახებ მხოლოდ 20 მუნიციპალიტეტის მიერ. 2021 წელს მოქმედი ა(ი)პ-ების შესახებ ინფორმაცია მიღებულია 32 მუნიციპალიტეტიდან, ხოლო შპს-ეების შესახებ 17 მუნიციპალიტეტიდან.

იურიდიული პირების რაოდენობრივი მაჩვენებლები

2022 წელს, 38 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში იყო 447 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მათ შორის, ყველაზე მეტი (71 ა(ა)იპ) იყო თბილისის, ხოლო ყველაზე ცოტა (4 ა(ა)იპ) ხობის მუნიციპალიტეტში. თბილისის შემდეგ, ა(ა)იპ-ების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამორჩეულია სამტრედიის, თელავის და ფოთის მუნიციპალიტეტები. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ა(ა)იპ-ების დიდი რაოდენობრივი მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლით. მაგალითად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს შორის არის 5 სპორტული კლუბი და 4 სამუსიკო სკოლა. იმ მუნიციპალიტეტებს შორის (32 მუნიციპალიტეტი), რომლებსაც ინფორმაცია წარმოდგენილი აქვთ 2021 წლის მდგომარეობითაც, არცერთ შემთხვევაში დაფუძნებული იურიდიული პირების რაოდენობრივი კლება არ ფიქსირდება.

2022 წელს 5 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში დაფუძნებულია 7 ახალი ა(ა)იპ. მათ შორის, ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნდა 2 ახალი ა(ა)იპ (ააიპ ყვარელწყალმომსახურება და ა(ა)იპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური). ასევე, ფოთის მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ორი ახალი ა(ა)იპ (ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი). თუმცა, 2022 წელს რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია.

2022 წელს 5 მუნიციპალიტეტში შექმნილ 7 ახალ ა(ა)იპ-ში სულ დასაქმდა 401 თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 2.9 მილიონი ლარი.



2022 წელს დაფუძნებული ახალი ა(ა)იპ-ები			
მუნიციპალიტეტი	**ა(ა)იპ-ის დასახელება**	**დასაქმებული თანამშრომელი**	**შრომის ანაზღაურების ფონდი (ათასი ლარი)**
ყვარელი	ა(ა)იპ ყვარელწყალმომსახურება	105	684,0
ყვარელი	ა(ა)იპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური	176	1,226.3
ფოთი	ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია	21	199.5
ფოთი	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსი	59	484.2
ხელვაჩაური	ააიპ „ მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“	27	232,3
ახალციხე	სასაფლაოების მართვის ცენტრი	9	20,9
მესტია	ა(ა)იპ "მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა"	4	5.7

წყარო: მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

2022 წელს, 21 მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იყო 57 შპს. მათ შორის, ყველაზე მეტი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში - 10 შპს, ქედის მუნიციპალიტეტში

- 6 შპს, სენაკის მუნიციპალიტეტში - 5 შპს, საგარეჯოს და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში - 4 შპს. დანარჩენი 16 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, რომლებმაც IDFI-ს მიაწოდა ინფორმაცია, დაფუძნებული კომპანიების რაოდენობა 3-ს არ სცდება.



წყარო: მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

იურიდიული პირებში დასაქმებული თანამშრომლები და შრომის ანაზღაურების ხარჯები

34 მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით 2022 წელს მუნიციპალურ ააიპ-ებში დასაქმებული იყო 33,549 თანამშრომელი. მათ შორის ყველაზე მეტი (4,894) მუშაობდა ქალაქ თბილისის, ხოლო ყველაზე ცოტა (197) ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში. თბილისის შემდეგ, ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა რაოდენობის სიდიდით გამოირჩევა რუსთავი - 2,746 თანამშრომელი და ზუგდიდი - 2,510 თანამშრომელი.



იმ მუნიციპალიტეტებში (28 მუნიციპალიტეტი), რომლებსაც ინფორმაცია წარმოდგენილი აქვთ 2021 წლის მდგომარეობითაც, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 2022 წელს 1,339-ით (+5%) გაიზარდა. მათ შორის ყველაზე დიდი (+34%) ზრდა დაფიქსირდა ყვარლის მუნიციპალიტეტში, სადაც 2022 წელს დაფუძნდა 2 ახალი ა(ა)იპ. ასევე, თანამშრომელთა 10%-ზე მაღალი მატება იყო ბაღდათის (+14%) და საჩხერის (+12%) მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებში. მაგალითად, ბაღდათის ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში 2021 წელს დასაქმებული იყო 147 თანამშრომელი, ხოლო 2022 წელს დასაქმებულია 180 თანამშრომელი, საიდანაც 118 წარმოადგენს შტატგარეშე მოსამსახურეს.

მუნიციპალური ა(ა)იპ-ების მთავარი ფუნქცია მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებაა, შესაბამისად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობაზე გავლენას უნდა ახდენდეს სერვისების პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობაც. მუნიციპალიტეტების მიხედვით, ააიპ-ებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ეს მაჩვენებელი 10%-ს აღწევს. მაგალითად, საქსტატის ბოლო მონაცემებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს სულ 3,770 პირს, ხოლო ა(ა)იპ-ებში 2022 წელს დასაქმებული იყო 377 პირი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ IDFI-ის ა(ა)იპ-ებში 2022 წელს დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა ისეთმა მუნიციპალიტეტებმა, რომლებიც გამოირჩევიან მოსახლეობის სიმწირით. მაგალითად, საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 3,843 პირს. 2019 წლის მდგომარეობით, ლენტეხის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 580 პირი. ასეთი ბიუროკრატიის შენარჩუნების პირობებში, ლენტეხის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იქნება მთლიანი მოსახლეობის 15%. ცაგერის მოსახლეობა შეადგენს 7,747 პირს, ხოლო ა(ა)იპ-ებში 2020 წლის მდგომარეობით, დასაქმებული იყო 963 პირი. შესაბამისად, ასეთი ბიუროკრატიის შენარჩუნების პირობებში, ცაგერის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იქნება მთლიანი მოსახლეობის 13%.



წყარო: მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

2022 წელს ა(ა)იპ-ებში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, IDFI-ს მოაწოდა 31-მა მუნიციპალიტეტმა. სულ 2022 წელს, ამ მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირებზე (შტატგარეშეების ჩათვლით) გაწეულმა შრომის ანაზღაურების ხარჯებმა შეადგინა 221.5 მილიონი ლარი. მათ შორის, ყველაზე მეტი დაიხარჯა თბილისში - 55.1 მილიონი ლარი, რუსთავში - 22.9 მილიონი ლარი, ზუგდიდში - 16.9 მილიონი ლარი. ა(ა)იპ-ების ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურების ხარჯების მქონე მუნიციპალიტეტების ჩამონათვალში, ვერ მოხვდა ისეთი მუნიციპალიტეტები, რომლებმაც ინფორმაცია არ მოგვაწოდა, თუმცა, საბიუჯეტო და სხვა დოკუმენტაციით უდასტურდებათ, მსგავსი ხარჯების მაღალი მაჩვენებლები. მაგალითად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გეგმით ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული იყო 26.9 მილიონი ლარი, ხოლო ბათუმის ა(ა)იპ-ებისთვის - 24.3 მილიონი ლარი. აღნიშნული მონაცემები ასევე, არ ფარავს შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებას, რომელიც ბიუჯეტიდან მიემართება საქონელი და მომსახურების მუხლით. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის ნოემბერში მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათი ა(ა)იპ-ების წლიური სახელფასო ფონდი შეადგენდა 17.9 მილიონ ლარს.



წყარო: მუნიციპალიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

2022 წელთან ერთად, წინა წლის ანალოგიური მონაცემები წარმოდგენილია 26 მუნიციპალიტეტის მიერ. ამ 26 მუნიციპალიტეტში 2022 წელს წინა წელთან შედარებით, შრომის ანაზღაურების ჯამური ხარჯი გაიზარდა 28%-ით (+33 მილიონი ლარი).

ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ზრდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 6%-დან 89%-მდე მერყეობს. მათ შორის, ყველაზე დიდი ზრდა იყო ყვარლის (+89%), დმანისის (+47%) და ჩხოროწყუს (+45%) მუნიციპალიტეტებში. ამასთან, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, ა(ა)იპ-ების ჯამური შრომის ანაზღაურება 95%-ით გაიზარდა. თუმცა, ცალკეული ა(ი)იპ-ების შესახებ 2022 წლის მონაცემები, სავარაუდოდ მოწოდებულია ფაქტობრივი უზუსტობებით. მაგალითად, ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკის 40 თანამშრომლის 2021 წლის შრომის ანაზღაურებაზე მითითებულია 156.6 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს დაახლოებით 10-ჯერ მეტი 1.6 მილიონი ლარი. ასევე, ა(ა)იპ საჩხერის სპორტის სკოლის 53 თანამშრომლის 2021 წლის შრომის ანაზღაურებაზე მითითებულია 254.1 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს დაახლოებით 5-ჯერ მეტი 1.3 მილიონი ლარი. საჩხერის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ა(ა)იპ-ებში შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდა 9%-დან 30%-მდე მერყეობს, რაც ლოგიკურ ჩარჩოებშია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების ხარჯების 89%-იანი ზრდა უმეტესწილად განაპირობა 2 ახალი ა(ა)იპ-ის დაფუძნებამ. აღნიშნული 2 ა(ი)პი-ს შრომის ანაზღაურებაზე 2022 წელს დამატებით დაიხარჯა 1.8 მილიონი ლარი. ყვარლის მუნიციპალიტეტის დანარჩენი ა(ა)იპ-ების შემთხვევაში შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდის მაჩვენებელი 7%-დან 34%-მდე მერყეობს.

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯები 48%-ით გაიზარდა. დმანისის ცალკეული ა(ა)იპ-ების მიხედვით შრომის ანაზღაურების ზრდის მაჩვენებელი 27%-დან 54%-მდე მერყეობს. მაგალითად, 2021 წელს ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფის 65 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 367.3 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს 75 თანამშრომელზე 563.8 ათასი ლარი (ზრდა + 54%).

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, 2022 წელს ა(ა)იპ-ების შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯების 45%-იანი ზრდა არაერთგვაროვნად აისახა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ა(ა)იპ-ზე. მაგალითად, ა(ა)იპ მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის შრომის ანაზღაურებაზე 2021 წელს დაიხარჯა 455.3 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს ხარჯი 79%-ით გაიზარდა და 813.7 ათასი ლარი შეადგინა. ა(ა)იპ-საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის შემთხვევაში 2022 წელს შრომის ანაზღაურების ხარჯები 37%-ით შემცირდა.



შენიშვნა: საჩხერის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ინფორმაცია სავარაუდოდ მოწოდებულია ფაქტობრივი უზუსტობებით.

#	მუნიციპალიტეტი	ააიპ -ს დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა	2022 წლის შრომის ანაზღაურება
1	საჩხერე	ააიპ საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	20	114394.80
2	საჩხერე	ააიპ საჩხერის დ. თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	38	146351.40
3	საჩხერე	ააიპ საჩხერის ს. წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლა	12	51960.0
4	საჩხერე	ააიპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა	40	1636610.4
5	საჩხერე	ააიპ ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი	86	266420
6	საჩხერე	ააიპ საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	17	78336
7	საჩხერე	ააიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღი	289	1717416
8	საჩხერე	ააიპ საჩხერის სასპორტო სკოლა	64	1339624

#	მუნიციპალიტეტი	ააიპ -ს დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა	2021წლის შრომის ანაზღაურება
1	საჩხერე	ააიპ საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	20	99477,6
2	საჩხერე	ააიპ საჩხერის დ. თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	38	127410,0
3	საჩხერე	ააიპ საჩხერის ს. წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლა	12	45180.0
4	საჩხერე	ააიპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა	40	156660
5	საჩხერე	ააიპ ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი	86	243120
6	საჩხერე	ააიპ საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	17	65820
7	საჩხერე	ააიპ საჩხერის გაერთიანებული საბავშო ბაღი	289	1359432.0
8	საჩხერე	ააიპ საჩხერის სასპორტო სკოლა	53	254160

საჩხერის მერიიდან, სავარაუდოდ ფაქტობრივი უზუსტობით მოწოდებული ინფორმაცია

2022 წელს მუნიციპალიტეტების შპს-ეებში დასაქმებულ თანამშრომელთა და მათი შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ ინფორმაცია IDFI-ს მოაწოდა მხოლოდ 15-მა მუნიციპალიტეტმა. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის მიხედვით გასაანალიზებელი მუნიციპალიტეტების არეალი ძალიან მწირია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საერთო სურათის დანახვის შესაძლებლობას. ამასთან, ინფორმაცია არ მოუწოდებიათ ყველაზე დიდ თვითმმართველ ქალაქებს (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი), რომელთა მიერ შპს-ეების სუბსიდირების მასშტაბი მნიშვნელოვნად აჭარბებს სხვა მუნიციპალიტეტებს. 15 მუნიციპალიტეტის მონაცემების მიხედვით, მათ მიერ წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ 31 შპს-ში 2022 წელს დასაქმებული იყო 1,413 თანამშრომელი. მათ შორის, ყველაზე მეტი - 301 - თანამშრომელი მუშაობდა რუსთავის (301) და ზუგდიდის (222) შპს-ეებში. 13 მუნიციპალიტეტის მაგალითზე, რომლებსაც ასევე მოწოდებული აქვთ 2021 წლის მონაცემები, 2022 წელს შპს-ეებში დასაქმებულთა რიცხვი 6%-ით, ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები 16%-ით გაიზარდა. როგორც თანამშრომელთა რაოდენობის, ასევე მათი შრომის ანაზღაურების ხარჯების ყველაზე დიდი პროცენტული ზრდა შპს ფოთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო კომპანიაში იყო. კერძოდ, 2022 წელს ამ კომპანიაში დასაქმებულთა რიცხვი 59%-ით (39 დან 62-მდე), ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯები 115%-ით (266.3 ათასიდან 572.1 ათასამდე) გაიზარდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო დოკუმენტაციის და მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ კვლავ სტაბილურად მზარდია მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსება. შედეგად, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების და შპს-ეების ბიუროკრატიული აპარატი ყოველწლიურად იზრდება, რაც ასევე ბიუროკრატიის ანაზღაურებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ზრდას უწყობს ხელს.

მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების ბიუროკრატიული აპარატის შესწავლით გამოვლენილი გარემოებები ასევე აჩენს ეჭვებს ადმინისტრაციული რესურსის მობილიზების მცდელობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ცალკეული მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებში დასაქმების მაჩვენებლები მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 10%-ს აჭარბებს. ასევე, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ბიუროკრატიის ყოველწლიური ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია იურიდიული პირების რაოდენობის შემცირების ფონზე.

იურიდიული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არაერთგვაროვანი სახელფასო პოლიტიკაა, რაც გამოიხატება ერთი და იგივე სამუშაო პოზიციაზე მნიშვნელოვნად განსხვავებული ანაზღაურების ოდენობით. შედეგად მზარდი შრომის ანაზღაურების ხარჯების მიუხედავად, ვერ ხერხდება სამართლიანი ანაზღაურების სისტემის ფორმირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების საქმიანობის გაზრდილი მასშტაბის მიუხედავად, ასეთი ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხი უარესდება. მაგალითად, მცირდება იმ მუნიციპალიტეტების რიცხვი, რომლებიც სრულყოფილად გასცემენ საჯარო ინფორმაციას, ხოლო საბიუჯეტო დოკუმენტაციაში იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილი, ფაქტობრივი უზუსტობებით და არაერთგვაროვანი აღრიცხვა მნიშვნელოვნად ართულებს სრულფასოვანი ანალიზის შესაძლებლობებს.

კვლევაში გამოვლენილი მიგნებების, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში ა(ა)იპ-ების ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ნაკლოვანებების გათვალისწინებით, IDFI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია თითოეული მუნიციპალიტეტის მიმართებით გადაიხედოს მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არსებული საკადრო და სახელფასო პოლიტიკა და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მოქნილი და ოპტიმალური ბიუროკრატიული აპარატის ფორმირების პროცესის დასაწყებად.